ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება № 25-35

“19” მაისი 2023 წ.

ქ. თბილისი

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სასმელი წყლის რეზერვუარის (თბილისის წყალსაცავის) სანიტარიული დაცვის ზონის დადგენისა და მართვის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 1 ოქტომბრის №64-103 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

შეტანილ იქნეს ცვლილება „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სასმელი წყლის რეზერვუარის (თბილისის წყალსაცავის) სანიტარიული დაცვის ზონის დადგენისა და მართვის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 1 ოქტომბრის №64-103 დადგენილებაში (სსმ, ვებგვერდი: www.matsNe.gov.ge, 05/10/2020, სარეგისტრაციო კოდი: 400020010.35.101.016782) და დადგენილების დანართ №1-ის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. ამ წესის პირველი მუხლის მესამე პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრულ მეორე სარტყელსა და მესამე სარტყლის I არეალში, ამ დადგენილების ამოქმედებამდე დამტკიცებული ქალაქგეგმარებითი დოკუმენტების შესაბამისად მშენებლობის ნებართვა საჭიროებს შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოს თანხმობას.“

მუხლი 2

ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე